


ნოშადურნი




№ 17. უკველკვირეული ჟურნალი 1907 წ.

უცხოეთის გამოჩენილი მწერლები.

ქაროველი მწერლები და მოღვაწენი.



გამოჩენილი დრამატურგი.
ბიერსტერნ—ბიერსონ.



ნიკოლოზ ხიჯანაშვილი.

გარდაცვალების წლის თავის გამო. († 15 დეკ. 1906 წ.)



ზ ღ ვ ა ს.

ზღვაო, რათა ხარ დამშვიდებული?!
 წამოიშალე რისხვა, ფაფარი,
 მოშხამულ სოფლის მოსარეცხავად
 მათრახად ტალღა ხმელს გადმოჰკარი!

შენს მეტს არავის!.. მხოლოდ შენ ძალგის
 უწმინდურების სრულად დაღრჩობა
 და ბოროტებით აღგზნებულ ცეცხლის
 ცოცხალთა შორის ჩაკვლა-ჩაქრობა.

მაშ ზღვაო, ნუ ხარ დამშვიდებული!
 წამოიშალე რისხვა, ფაფარი,
 მოშხამულ სოფლის მოსარეცხავად
 მათრახად ტალღა ხმელს გადმოჰკარი!

ი. მჭედლიშვილი

არ ვულაბებ.

თუნდ ჯვარზე მაცვან, მტანჯონ, მაწამონ,
 ეკლის გვირგვინი დამადგან თავზე,
 დამკრან, დამკეპონ და დასაგლეჯად
 თუნდ წამომავონ მე ბასრ ჩანგალზე,—
 თუნდ ცეცხლში ჩამღონ, ან დამწვან კირში,
 თუნდ შხამი მასვან, ამომკრან ენა;
 სატრფოც მომიკლან... თუნდ გამიცრუვდეს
 ჩემი იმედი, ყოველი რწმენა,—
 არ ვულაბებ მაინც სიმართლეს
 ის არის ჩემთვის თვით ღმერთი-ზენა,
 და თუ ვერ შევძლებ მის შესრულებას,
 ასწილ სჯობია—დამუნჯდეს ენა!

გ. ლაღოშვილი.



ასე სჯობს...

(პარალელი)

სწული, გონება-სუსტი და მხდლი გიორგი მეფე თავის სამეფოს რუსთ ხელმწიფეს აბარებდა.

ეწინოდა: მე რომ ვარო და ჩემი ძეები ასე მემტერებიან, ჩემს შვილებს ხომ სულ დახოცავენ!.. რუსთ ხელმწიფე მოწყალეა, ის უპატრონებს ჩემს იბლებსა და ჩემს სამეფოსაო.

მეფემ მრავალგზის ჰფიცა რუსეთის გაუყრელობა, დიდ ხელმწიფის სიტყვა ჰქონდა, ჟამთა საუკუნეთა გასათავებელი და გულდებული იყო, რომ მისი ჩამომავლობა დაიმკვიდრებს სამარადისოდ ბაგრატიონთ ტახტსა და უზრუნველად იმეფებს საქართველოში.

რა იცოდა კჳა-მოკოე მეფემ, რომ რუსეთს განაგებენ ხელმწიფის მოხელენი და არა თვითმპყრობელი ხელმწიფე.

მოკვდა თუ არა გიორგი მეფე, მისნი დიდებულნი და ხალხი რუსთ ხელმწიფის ყმობაზე დააფიცეს, ცოლ-შვილი რუსეთში გადაკარგეს, სამეფო კი გუბერნიად აქციეს.

ასე სჯობსო საქართველოს სიკეთისათვის.

* *

განვლო ასმა წელმა და ჩვენი დიდებულების ნატამალმა არ გაგონილი და არა ნახული საქმე ჩაიდინა: იდღესასწაულა ჩვენი თავისუფლების დაცარვის იუბილე.

მოიწვიეს რუსეთის თავად-აზნაურობა, გაუმართეს ნადიმ-მეჯლისეი, ასვეს, თითონაც სვეს და მრავალ გზის ჰფიცეს რუსეთის გაუყრელობა.

არ იკმარეს, სტუმრებს ეწვივნენ მოსკოვსა და პეტერბურგს, იარეს მათს ნადიმ-მეჯლისეებშია, სვეს და ჰფიცეს და ჰფიცეს რუსეთის გაუყრელობა.

ეგონათ, ეს—არის მთავრობის გული მოვიგეთო, რუსების სწორად მიგვიჩნევს და დიდ ხელმწიფის მაღლიანი კალთა ჩვენს თავზედ დაიბერტყებაო.

რა იცოდნენ ჩვენმა დიდებულებმა, რომ რუსეთის ბედი როდისმე თავად-აზნაურების ხელში ჩაეარდებოდა.

ირგუნა თუ არა თავად-აზნაურობამ ქვეყნის მართველობა, ეახლა ჩვენი დიდებულების ნატამალი და დაეღრიჯა: გვიწამეთ ჩვენ, რამეთუ ვართ ძვალი ძვალთა თქვენთაგანი და ხორცი ღორცთა თქვენთაგანიო.

მაგრამ რუსეთის თავად-აზნაურობამ ერთს ქართველსაც არ აღირსა სახელმწიფო საბჭოში ჯდომა, დუმაში კი რვა ადგილის მაგიერ სამი და დაუთმო.

ასე სჯობსო რუსეთის სიკეთისათვის.

* *

ამოვიდა თავისუფლების მზე. ვიჯიყნაძე უწყვეტად რუსეთის დემოკრატიას. ამის სამართლიანობისაგან ველით „ჩვენი სამართლიანი მოთხოვნის დაკმაყოფილებას“. ამან უნდა მოგვცეს „ეროვნული და კულტურული განვითარების თავისუფლება“... როცა გაიმარჯვებს.

სანამ კი ვფიცავთ რუსეთის გაუყრელობას. პარტია ისე არ გამოაცხადებს პროგრამას, მოღვაწე ისე არ იტყვის აღსარებას, რომ პირველად არ ჰფიცოს რუსეთის გაუყრელობა.

რა ვიცით, იქნება რუსეთის დემოკრატიამ ას წელიწადშიაც ვერ გაიმარჯვოს.

ან თუ გაიმარჯვა როდისმე, რა ვიცით, როგორ გადასწყვეტს ჩვენს ბედს? დემოკრატიის შებოქვილი ერები გვინახავს, განთავისუფლებული კი არსადა სჩანს.

ვინ არის თავდები, რომ გამარჯვებული რუსეთის დემოკრატიაც, „ეროვნული და კულტურული განათლების თავისუფლების“ მაგიერ, ცენტრალიზაციის მუხრუქს უფრო არ მოგვიქერს?

ასე სჯობსო კაცობრიობის სიკეთისათვის
რიშ-ბაბა.



გვეყო მონობა!..

ტანჯული ხალხი ვერ შეეგუა აუტანელსა ბნელსა ცხოვრებას; რომ ვერ გაუძლო ძველ-ადათ წესებს, ის შებრძოლა მედგრათ მონობას.

კიდევ ამდგარან კიდი-კიდემდე, ქვეყნად ბობოქრობს მშრომელთ ქუხილი, ძმებო, ბორკილი დროა დავეწყოთ, გვეყო მონობა, შიმშილ-წყურვილი!..

ბრ. ჭოჭუა.



უკანონო კანონმდებელი.

პეტერბურგის ოლქის სასამართლოში უნდა გარჩეულიყო საქმე ორის მწერლის შესახებ, რომელთაც პოლიტიკური დანაშაული ჰბრალდებოდათ. შეუდგა თუ არა სასამართლო საქმის განხილვას, ბრალდებულთა დამცველმა გამოაცხადა: იმ კანონის ძალით, რომელიც ამა და ამ დროს გამოაქვეყნა მთავრობამ, თქვენ უფლება არ გქონდათ სამართალში მიგვცათ ეს ჩემი ორი კლიენტო. დამცველის სიტყვამ მეზად დააფიქრა მსაჯულები. ცოტა ხანს მოითათბირეს, გაჩხრიკეს

ახალ ძველ კანონის წიგნები და დარწმუნდნენ, რომ დამცველი მართალს ამბობდა: ის კანონი, რომლის ძალით სამართალში იყო მიცემული ორი მწერალი, უკვე გაუქმებული აღმოჩნდა.

ეს ამბავი მეტად საჭურჭლისხმიეროა ადამიანისათვის და ნათლად მოწმობს, რაწირი სიყალბეა დასული შემდეგ სიტყვებში: „კანონის უცოდინარობით თავს ვერაფერ ვერ გაიმართლებსო“.

კანონის უცოდინარნი აღმოჩნდნენ თვით კანონმდებელნი და კანონის აღმსრულებელნი.

საკვირველიც არ არის ეს ამბავი. კანონთა კრებულში დასულ კანონების შეთვისება და დამახსოვრება ადამიანის ტვინის შეძლებას აღემატება. ყველა ეს კანონები უმთავრესად საკუთრებას იცავს; და რადგან საკუთრების უდიდესი ნაწილი მდიდრების ხელშია, კანონმდებელნი და კანონები არსებითად მდიდრების ქომავები და მესვეურნი არიან. ამავე დროს კანონმდებელნი გაფაციცებით სცდილობენ ხალხს ისე აჩვენონ თავი, თითქო მათ მოქმედებას საფუძვლად სამართალი უდევს და სხვა და სხვანაირ ხრიკებს მიმართავენ ხოლმე ხალხის მოსატყუებლად. ამგვარი ხრიკია სხვათა შორის მათგან საჭიროთ გამოცხადებული სიყალბე.—„კანონის უცოდინარობით თავს ვერაფერ ვერ გაიმართლებსო“.

კანონების სიმრავლე, ჩემის აზრით, შემდეგი მოსაზრებით აიხსნება: მდიდრებსა და იმათ ქომავსა და მეგობარს მთავრობას ხელთ უბყრიათ ვეება და ფრიალ მსუქანი კერძო საკუთრება, რომელსაც ისინი სასტიკი კანონების საშუალებით იცავენ. ამავე დროს თავის თავს ისინი ქვეყნის მმართველებს, მთავრობას უძახიან. ეს მთავრობა მონატრულია რასაკვირველია ხალხმაც იწამოს და დაიჯეროს, რომ იგი ხალხისათვის კეთილის მოსურნე და კეთილ-მოყველია. მთავრობამ კარგად იცის, რომ ამგვარად მოტყუებული ხალხი უფრო ერთგულად ემსახურება მას თავისი მარჯვენის საშუალებით. ამიტომ ხელე კანონმდებელნი ხალხის მიერ შექმნილი და მათ ხელში დასული კერძო საკუთრების ვეება და მსუქან კერძს დრო გამოწვევებით რამოდენსამე პაწია კვნიტს მოგლეჯენ და ხალხს საჩუქრად გადაუგდებენ ხოლმე.

ამგვარს მოქმედებას მთავრობა ახლად გამოცემულ კანონებს წაუძმდვარებს ხოლმე წინ, რათა ხალხს თავისი კეთილი სურვილი და თავისი გულის სიუხვე დაანახვოს. სიღარიბის გამო უვიცი ხალხიც სტყუედება რასაკვირველია და მთავრობისაგან ხალხში დაბრუნებული ამავე ხალხის „ჭირნახულის“ ერთი კვნიტი მაინც რაღაცა წყალობად მიაჩნია.

რამდენსამე საუკუნის განმავლობაში ამ გადადებულ კვნიტების და მათ შესახებ გამოცემულ

კანონების სიმრავლე შედგება ხოლმე ისინი, საერთოდ რომ ავილოთ, მდიდრებისა და იმათ ქომავ მთავრობის დიდებულ კერძს მაინც დამახინც მგვრს! ვერაფერს აკლებენ, როგორც ვერაფერს—დასკენს მსუნაგთა და უხვად მოსადილე ვაჭბატონებს მათი თევშების გარეშამო დაყრილი ნამცეცები.

როგორც მსუნაგი კაცი ვერ დასთვლის რადროს და რამდენი ნამცეცი გაუვარდა ხელიდან სადილობის დროს, ისე მთავრობამაც არ იცის რასაკვირველია, რადროს რამდენი კვნიტი ახალი საშეღავათო კანონი უწყალობა იმან მშიერ ხალხს.

სწორედ ამით აიხსნება, რომ მთავრობის მიხელე კანონმდებლებსა და კანონის აღმსრულებლებს ავიწყდებათ მათ მიერ ხალხში ნასროლი საცოდავი წყალობანი და სწორედ ამით აიხსნება ის ახირებული და სასაცილო მდგომარეობაც, რომელშიაც ჩავარდა ამას წინად პეტერბურგის ოლქის სასამართლო.

ი. ნაკაშიძე.



ა კ ა კ ი ს.

აკაკი ტკბილი მგოსანი
ჭირ-ვარმის ხშირად მნახველი,
სიცილით მხვედრი ყოვლისა—
სულმდაბლობისა მგომბელი;—

ფრთებ ჩამოყრილი—მიყუჩდა,
გულით ილიმის—აღარა;—
გრძნობს ამაოდა უყვიდა
გმირთ მის დაფა და ნაღარა!..


აწმყომა გული ატკინა
მომავლის მოლოდინშია;
ილიას უღვთო სიკვდილმა
ხომ სულ მოშალა წელშია.

გრძნობა უწამლეს მოხუცსა—
ნდობა დაჰკარგა ყოვლისა;
ვიღას შეჭყუროს სიამით,
ვინ სცემს მის ღვაწლსა პატივსა?!

ისევ მის დროის ტოლები—
მხოლოდა დარბაისელნი?!
კოტა-თუ-ბევრნი არიან
ყმაწვილნი დამფასებელნი?!

ეს ფიქრი მას აღბეჭდია
გადაშლილ-ღვთიურ შუბლზედა;
ნაღვლით მოსილი მის სახე,
უმწვავესია ცრემლზედა!

მკვერ-მეტყვო, სახელოვანო
ჩვენო ხმა ტკბილო მგოსანო!
ერი ისე არ წახდება
რომ სულ შეიქმნეს უგვანო!..



ქეშმარიტია ეს სიტყვა
რომ ყველა გიციობს საერთოდ!
შური—უფიცთა სტუმარი
ხან მოკლე არის საერთოდ!

ლამპრად ყოცელთვის უნთიხარ
შენს საქართველოს შვილებსა!
შენ და ილიას სახელი
ყველას გულს უცისკროვნებსა!

დადგება მალე იგი დრო
ქართველი კვლავ ქართველობდეს!
ძმურად შეკრბენ და ღირსადა
თაყვანსა სცემდენ თქვენს სახელს!

მაგრამ,—რა გამოვიდა,
სიცოცხლით გასვეს ნაღველი;
მაღალ სულთ ეს დაგშენიათ
შეუნდოთ შეცოდებულნი!

ქაბუკობისას ლომ-გულნი!
ენატრი გაკჳედე გულითა!
მგოსანს ხანგრძლივად გეცოცხლოს
შვება თვით გვერძნოს სულითა!

ნატალია გიგაური.

იმდენი უნდა გიცხუნო,
რამ ჯდათ გექნეს ტანი!
„ნარტიში“ „კანატად“
ეს იქნება შესატანი,
მაგიხდება ჩემს ჯაჯებს ქვეშ
ხან ყრუიანი, ხან ტატანი!

პალო.

საინტერესო წერილი.

ძვირფასო ბიძა!

უბირველესად ყოველისა ვქარობ მოგილოცოთ
სამსახურში წარმატება, შემდეგ ამისა გიცხადებთ
ჩემს უზომო სიხარულს იმისა გამო, რომ მშვიდო-
ბით მიღწიეთ თქვენს ახალ საგუბერნატოროში,
ბიცოლა ზინა, თქვენი გაცილების შემდეგ, საღუ-
რიდამ პირდაპირ იოანე კრონშტადსკისთან გაემარ-
თა. მართლაც, სასწაულად ჩასათვლელია, ეხლან-
დელს დროში მშვიდობიანად მგზავრობა, განსაკუ-
თრებით მათთვის, ვინც, მაგალითად IV „კლასელ-
თა“ კატეგორიაში არ ითვლება.

ბიძა ჩემო, მომილოცეთ მეც: ჩემმა ბიცოლამ
მშვენიერი აღგილი მიშოვნა. გადასახადთა მომზა-
ტებელ დეპარტამენტში მიმიღეს-

თუმცა მე, ბიძა ჩემო, მართალია, ახალგაზრ-
და და ჯერ კიდევ ცხოვრებაში გამოუცდელი ვი-
თვლები, მაგრამ მაინც ვხლა, როდესაც მე უკვე
ადმინისტრაციის მანქანის თვლებთან ვდგევარ, ვა-
ლად ვრაცხ ჩემს თავს, გაგიზიაროთ ჩემი პირველი
შთაბეჭდილება სამსახურზედ. ჩემი აზრთა-წყობი-
ლება და მიმართულება თქვენ უკვე იცით, მაგრამ
მე მაინც ცოტა არ იყოს ეჭვი მეპარება (ჩვენში
კი დარჩეს) ჩვენი მთავრობის მოქმედებაში.

სრულიად ვერა გამოვიდა რა ჩვენი ადმინის-
ტრაციისა. ავილოთ, par exemple ამ უკანასკნელი
დროის ანბები, მაგალითად სოფელეთა „ბუნტე-
ბი“. ამ გვარ შემთხვევებში, ყველაზედ წინ მიჰ-
ქრის ხოლმე ჩაფარი, შემდეგ „ატაშანი“, მას მის-
დევს ბოქაული, ხშირად გუბერნატორი, ყაზახები
და... მიათრევენ არტილერიას. ეს ხომ აუარებელი
ფული ჯდება. უმჯობესი არ იქნებოდა, რომ ახ-
ლო-მახლოს იყოს ხოლმე ნაგულეები არაყით სავსე
ბოჩკები, და პირველ შენიშვნისათანავე, როცა
სოფელენი მთავრობის საწინააღმდეგოდ რასმეს
დააპირებენ,—გამოაგორონ საიდანმე ეს ბოჩკები—
ხალხი უტბად დაითვრება და „ბუნტიც“ ჩაქრება.
ამაზე ჩემი ნაცნობი სერჟი მიპასუხებს ხოლმე, რომ
მაშინ საერთოდ მთელს რუსეთში ამგვარი საწყო-
ბები უნდა გავმართოთ, ყოველ დღე ბოჩკების კო-
ტრიალს მოუნდებით, ეს კი, გაცილებით უფრო



„ნიშაღურის“ მოგზაურობა

ჭახუ! ჭახუ! შე, „ეშმაკა“,
ნუ ბარძიკოფ, შე ტიადა,
„ნიშაღურმა“ ბეგრჯელ მოგცნა,
გაწრუწუნა, გაღრიადა!
ჭახუ! ჭახუ! „ესდეკების“
ნაბადახა, ქერ-ნაჭამა,
რაცა ცოხნე, რაცა ღოდნე,
აწ უნდა ამაგაშხამა!
საძუე ხომ კარგი გი'ე,
არ წავიგა წინ კურტანი,

ვირი დავეიჯდებო, — მაგრამ არ უნდა დავეივიწყოთ ძველი წესი და ხერხი, ოღონდ შველა იყოს, ხარჯი კი ამ საქმეზედ გაწეული, განა ძნელია ისევ ხალხს მივაკეროთ კისერში.

შემდეგ ავიღოთ მიტინგები: რისთვის პოპულარბენ თანაგრძნობას ეს სხვა და სხვა რევოლიუციონერები და აგიტატორები, მიტომ, რომ ჩვენში მიტინგების გარდა სხვა უფასო გასართობები არ მოიბოება. მართლაც ხალხს გართობა უნდა თუ არა?! ჰო, და აი, ამგვარ მიტინგებზედ დავდგათ ხოლმე გრამოფონი, ან სადაც კი მოხერხდება უფასო ბუფეტებიც რომ გაიხსნას, მალე მტერი მოგიკვდათ, მალე გაუაროს ხალხს პოლიტიკურმა ციებ-ცხელებამ, და ყველანი ბუზებივით ჩვენ დაგვესიონ. აი, ამ ორ „პროექტის“ შესახებ მე მოხსენებას უკვე ვამზადებ და იმედიც მაქვს, რომ ჩემ მიერ გამოთქმულ საშუალებებს ყურადღებას მიაქცევენ.


უმთავრესი და უდიდესი განსაცდელი მოგველის ჩვენ სათათბიროდამ, მაგრამ ამ დაწყებულ დაწესებულებიდანაც შეიძლება თავის დახწევა: მაგალითად, სავალდებულოდ გავხადოთ, რომ ყველა „ფრანგულად“ ლაპარაკობდეს — მაშინ მხოლოდ „ჩვენები“ და ორიოდ „განათლებული“ თუ-ღა ილაპარაკებს... სხვები-კი...

მართლა, ბიძა ჩემო, თქვენთან სათხოვარი მაქვს: — ჩემს მეგობარს პეტრე ოსლიშჩევს გაუგია, რომ თქვენს საგუბერნიო კანცელარიისთან, ხალხის გამოძკვებ კომისიის განყოფილება არსდება. გთხოვთ, აღმოუჩინოთ მას შესაფერი ადგილი, თუმცა მას, მხოლოდ შინაური განათლება აქვს მიღებული, მაგრამ, სამაგიეროდ ძლიერ სანდო პირია და არავის გასცემს. მას უმწიკვლო წარსული ექნებოდა, რომ ერთ სულელურ „ისტორიას“ არ შეეშალა ცოტათი ხელი. ეს „ისტორია“-კი იმაში გამოიხატება, რომ ერთ საქველმოქმედო საზოგადოებაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა, უეცრად გაჰქრა 10,000 მან. მაგრამ, მას რა!.. ყველა ერთხმად ამტყუნებს „არტელშიკს“, რომელიც დიდი ხანია რაც უკვე გადასახლებულია. გარდა ამისა, ოსლიშჩევი ჩვენი პოლიტიკური რწმენის გულითადი თანამგრძნობია.

ჯერედ ნახვამდის, ბიძა ჩემო, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ჩემს სამსახურში მომხდარ ახალ-ახალ ამბების აღწერას არ მოგაკლებთ და ვიმედოვნებ არც მოგაწყენთ.

თქვენი მოყვარული ძმისწული ვიკტორ ნედონოსკინი“.

ჯაფარას ნათარგმნი.



„ეშაპის“ უბედურება.

რას „ეშაპი“ მალა ციადმ
კადმოაგდო დაბლა დემეტმა,
სინდისზე ხელი აიღო
მან ამ ქვეყნათ ერთათ ერთმა!

ინაჯარდა ცოტა ხანი,
იქეიფა „ბორჯომშია“,
კარგათ იცით გარეყნილება
მი'ი მოდგმა და ჯიშია!

ამას ჩლიქი დაუბინა,
იმას სწვდა კურტუმალში,
მაგრამ უცებ დასხვედა,
სხანს ძვადი დაადგა ებაში!

მაშინ ქეხოს ხელი სჭიდეს,
გათრეის მოედანზე,
აქ მას რაზგით მიუთუთქვეს
ორიუ რბილი ძალი-ძალზე!

მერე ცაღის ფეხით ძელზე
ჩამოჭვიდეს შირა გზაზე,
მოკვდება თუ არ მოკვდება —
ეს მიაგდეს აზიანზე!

თან „ნიშაღურს“ ასუნებდენ,
სოქვეს: მისია ეს წამალი,
მოსდიოდა სწყაღს ზაფრან,
ცხვირს ჩხვიკინი მადი-მადი!

მაგრამ ერთმა შეიბრდა
და დამდენა ასე თავზე:
„შენისთანა დიდებ-ეურა
ბეურა არი თქვენს ბაზარზე!
შენც იუვი და იცოხნე,
ერთით შეტი, რეტი-სრეტი,



მსოფლად მე ან მამკეს ქანქარი
შენი კბილის გასაკვეთი!

რის გიუურებ ესეც კმარა,
„ეშასაკ“—ტაკი-მასხარასა,
უხდება კლავის თამა“ი,
მეც დაუკრამ იმას ტაშის!

და დაუმდერეუ გასართობათ:

ნესტორ—ნიკანა,
ნუ თუ რამ ან დაგედალა
ეუფა, დრენით ეხა!

ამას სახლში შეეკრები,
იმას ჯიბეშია,
სწორეთა სთქვი: რამდენჯერ გკრეს
კუკუ კიბეშია!

მსეგდონიმებს საქვეყნით ხდი
სხანს ხარ ჯამუშია,
მეც წავიყვან სანადირით
გაშინარას ხნულშია!

ნუ, ნუ სწუხარ,
გენაცვალის შენი „თავუნა“
უმეტრებამ, დრეკა, გრესამ
ეგ მოგარგუნა!

აწ ეკიდე დიზღიბიტის
ჩხირთ რაკუნა,
ავლადრისა შეუდარის,
ეეინ-კახუნა!

გაიესე და გაიზარდე
ცილ-ჭარბითაა,
თუ გინდა შინაც გავზავნე
დიდ ჯარბითაა!


გაუნარდებთ, იტუვიან:
ეს რა ვიშოვეთა,
მე კი მსურს რა გვირგვინები
ახლავე დაგვიკეთა!

ჩამოგვიდე წითელს „ლენტებს“
და ზედ დავაწერავ:
იტირევი და იგლოვი,
„ზრდელტარათ“ კერავ!

ჩემო ჩანგო, შენც აკუნესდი,
ეს რა ვიხილეა,
ფეხით თავქვე დაშვებულა
„სოციალიზმის“ მზეა!

მშვიდობით, გვამო, გგლოვობენ
ერთობ ეუკლანია,
შენ ფაღუსტაკი გგონა
კალამ შელანია!“

რიგოლეთო.



ადრე და ახლა.

ადრე იყო ერთობის დრო, ახლა არის რეაქცია,
ძალაშია ხალხის მტერი და ქვეყანა დააქცია!
ადრეც იყო ბატონები, ახლა ხო უფრო მეტია,
რომელს ვეყმით, აღარ ვიცით?! სწორედ დაგვესხა
| რეტია!

ადრე იყო ბოიკოტი, ახლა დროა ლოკაუტის,
ქვეყანა ასე ტრიალებს, სულ ყველაფერს ცხრო გა-
ადრე იყო ზრდილობის დრო, ახლა მეტი უზრდე-
ლია,
და თამამათ გაიძახის—დელია და ოდელია!!
იომბა პუსა.

სოციალისტ—დიქტატორებს.

(მიბაძეა)

მესმის, მესმის გულსაკლავი
ხმა თავისა უარყოფის;
კრუ-მოძღვრების ხმა ქვეყნად ჰქუხს
შესაცდენად მონად მყოფის.

ალმაშფოთებს ხოლმე ეს ხმა
და ამივებს სევდით გულსა,
ღმერთო, ეს გზა დამღუპველი
ააცდინე ჩვენს მამულსა!

დემნა მროველი.

ს ც ე ნ ე ბ ი ს ც ე ნ ი ს ა თ ვ ი ს .

გურულ მეგრელის ტრახახი.

მეგრელმა გურულს ტრახახი დოუწყო...
— რას მელაპარაკები შენ გურულო!!!
ჩამოდი ფოთებს, პირველ მაისობას, გავარდება
ბურთი, გურულები სად არიან მაშინ, როცა მარ-
გალეები, ზღვით სორხუმს გაიტანებენ ლელოს... ან
კიდო ზურგდიდში რომ დაიწყება მარულა—სამტ-
რედომდე მიაქენებენ ცხენებს...

კი მარა, დადიანის თავად-აზნაურობაა, ასე
კაი გოსხაპიე ბიკები?!

— სულ დადიანისაა, აი მარგალიტად: ბურძ-
გალავა, კვარანცხელია, გვათუა, ოდიშარია, ფარ-
ლავა, სარხოკია, გვაზავა...

დედავ! ეშმაკეამა დაგიზავა, წასკდა სიცილი
გურულს...

— აბა ახლა შენი გურიელის კაცები მით-
ხარი?

გურიელის თავად-აზნაურობა აგია: გაფრინ-
დაშვილი, მარგალიტაძე, შავარდნაძე, მგელაძე,
დევიძე, ლომიძე და ვაშალომიძე...

— თო!! პატენი გურულო, იგინი ოთხ-ფეხო-
ულია თუ ორ ფეხოული?!

— არა, შინაური ფრინველებია!.. უი წავხ-
დი, რას მიჩივა ავი!..

ვასო ურუშაძე.





მოღალატეს!

(გუძღენი ვ.....ს)

ისე მიყვარდი, როგორც ღვთაება,
გაქე, გადღე, ედემს გადარე;
მე პათიოსნათ შემოგყურებდი,
შენ კი, ლამაზო, მტერს შემაღარე!..

დავრჩი მე ობლად დაღონებული,
ვითა ხე მდგარი მარტო ველზედა,
რას ვიფიქრებდი მე საცოდავი,
თუ ეს შავი ღღე დამადგებოდა?!

მახსოვს მე საწყალს, როცა ამბობდი:
„სხვას არ წავეყვები მე ჩემ ღღეშიო
თუ შენ დამტოვებ აღარ ვინდომო
ტკბილი ცხოვრება სამოთხეშიო“...

ამას ამბობდი, ამას მიმღერდი
გულში კი, თურმე სულ სხვას ფიქრობდი...
თუ სხვა გიყვარდა, ჩემო ორგულო,
მე სიყვარულით რისთვის მაქნობდი?..

პაშა-

დედა-შვილობაც ანბარიშია.

შვილი. დედიჯან, რისგან არის, რომ ჩემი შვი-
ლები უფრო გიყვარს, ვინემც მე?

დედა. შენ, შვილო, ჩემი სარგებელი ხარ, შენი
შვილები კი—სარგებლის სარგებელი. ან-
გარიშის კაცი ხარ, შენ თითონ გასინჯე,
რომელი სჯობია: სარგებელი თუ სარგებ-
ლის სარგებელი?

გ ვ ი ა ნ ლ ა ა...

ივანიკა. ძლივს აღიარეს სოციალდემოკრატიებმა
ავტონომია. ახლა განსხვავება იმათსა და
ფედერალისტებს შუა აღარაფერია და
ორივე პარტია უეჭველია მორიდდებიან.

ნინიკა. ეგ ამ ორი წლის წინდ უნდა მომხდა-
რიყო, თორემ სახლი რომ დაიქცევა,
იმის ნანგრევებზე, გადამტერებულს ძმებს
გინდ ერთმანეთი დაუქამიათ, გინდ დაუ-
კოცნიათ.


ზ ა მ თ ა რ ი.

(მიბაძვა)


დაფარულა თოვლით ტყე
ბელურანი ჰხარობენ.

გლებთ მოსწყინდა ზამთარი
გაზაფხულსა ნატრობენ.
ყველგან თოვლი, სიცივე
წყლები გაყინულია,
ზამთრის სუსხმა ყველასა
შეგეცხუთა სულია!

კვანწარახი.



ქართველი მწერლები და მოღვაწენი.



ნიკოლოზ ბარათაშვილი.

მგზავრების ბაასი სოფლად

— გაპარჯვება პეტრე!
— გაგიმარჯოს აფხანაკო.
— „აფხანაგი“ ჩვენ რად ვიქნებით, შენ ესღე-
კი ხარ, მე კი სხვა.
— აბა, ბატონო!
— ბატონობა რაერთი ხანია წავიდა, მან უკვე
განისვენა.
— აბა, მოქალაქე!
— ზე არც მოქალაქე გახლავარ!
— აბა, ძმობილო!
— ქრისტეს მცნებით ეგ კი შეიძლება.
— კინაღამ გადამაყოლე შენს მოსალოცებას. ეხ-
ლა კი ვიცი რე გორ უნდა მოგექცე.
— აბა როგორ მოიქცევი?
— როგორ და სულ არ გაგცემ ხმა, თორემ
სადგურზედ რომ შემხვთე, შენი მტერია, ჩვენს
მისაღმებამდის მატარებელიც გაგვასწრებს და ქე
დავრჩები შენს ანაბარად... ჰო და შენისთანა კაცე-
ბი ძალად „გაცოციალდენ“, სწორედ იმის ბრა-
ლია!.. სხვა, ახალი ანბავი ხომ არ იცი რა არჩე-
ნებისა ან ღუმისა?

— არჩევნებისა არა ვიცი რა და ჩვენი ღუმის
ანბავი შენ ვინ გითხრა? სამღრთო რომ ვილოცე
და დიდი ცხვარი რომ დავკალი, მისი მსუქანა ღუ-

მა ჩემს რძალს თაროზედ ჩამოეწყო და წარმოიდგინე კატას მიურთმეგია და კინადამ შინაურები არ დაეხოცე, ისე მეწყინა ღუმის გაფუჭება...

— შენ ძმობილო ცხვრის ღუმალზე ლაპარაკობ და მე კი „ღუმალზე“ ე. ი. სახელმწიფო ღუმალზე გეკითხები!..

— ხოლო უნდა გამოგიტყდე იმ ღუმის ანბავი კარგად არც კი გამეგება!

— როგორ არ გამეგება? ესდეკებს დღე მუდამ ღუმა პირზე გაკერიათ და ამის ამბავი როგორ დაგიჩა გაუგებარი?!

— რა თქმა უნდა, ყველაში მეც კი ვურვევივარ და სხვებზე თუ არ მეტი, არც ნაკლები ვარ... ერთი ჩემი ნათესავი „გოროდის“ კლასიდან გამოაგდეს, მერე „კრუსებისათვის“ კერძოთ ემზადებოდა და თან „პროპალგანდას“ ეწყობოდა. ჰო და იმან შემაგონა, „სოციალდემოკრატი გახლიო“ და მეც მაშინათვე გადავწყვიტე სოციალდემოკრატობა და ვარ კიდევ. მარა ამასზე მერე გეტყვი დაწვრილებით...

— რაღა მერე, ეხლა მითხარი ..

— ეხლა ქე ვარ ყველაფერში გვარიან შეგნებული. კრებებს არასოდეს არ დავკლებივარ... მართალია, რასაც ანბობდენ კარგად არ მესმოდა, მაგრამ განა მარტო მე ვიყავი ამისთანა, ჩემისთანები ბევრი სხვებიც იყო... მაგრამ ის გვანუგეშებდა, რომ გვეტყოდენ „ჩვენი პარტია დიდი და ძლიერი არისო და გამარჯვება ჩვენი იქნებაო“.

— წერა-კითხვა ხომ იცი?..

— უსწავლელი ვარ, მარა წაკითხვით ჩემი ქალიშვილი კითხულობდა და მეც ყველაფერი მესმოდა.

— მერე ტყუილს და მართალს როგორ არ ჩვედი?


— ამას რა დიდი ხაზი და ლარი უნდა: დემოკრატიები ყოველთვის მართალს ამბობენ და სხვები ვინცხა მოგონილი პარტიები მუდამ ტყუიან...

— საუცხოვო საზომი გქონია. შენ ეს მითხარი იმათ ზრდილობისა და უზრდილობისათვის არ მიგიქცევია ყურადღება?

— საერთოდ მოქადაგენი ზრდილობაზე ამ აზრისანი იყვნენ, „ერთობა და ზრდილობა ერთად არ შეიძლებაო“.

(გაგრძელება)

ქან—ღონ—ლას.



სიტყვა დებუტატ ტიმოშინისა მესამე „ღუმალში“

ბატონებო, მოგახსენებთ ვით რუსი და დებუტატი, მე გახლავართ თბილისელი სუდიგანთა დელიანტი!

და რომ მოგსმით იქ კრამოლას მოვიგანე ერთი კვანტი, გორდდევამს დაშაბანა, მოწამეს დმურთა, ხატი!

მთლათ ქართველებს დაუბურიათ საქართველო დახანატი, მე რომ ამას დავამტკიცებ არ მჭირია „დეფაკატი“!

რაკორ? რათა? რისთვის აბა?! იქ რა უნდათ ქართველებსა, საქართველო? ქართველები? არ უდგება ფერი ფერსა!

და ეს არი ჩემი აზრი მთლათ გაყართ იქიღამა „ინოვაციებს“ ეყო, გამანა, რაც რა საქართველო ჭამა!

ვინ არ იცის რა ადამა ჩვენ — რუსები იქა გუშობა, მას აწ „ღუმალში“ გავიწიას დახაგრულებს ქამავობა!


წარდუნის წინეთ თვითონ დმურთა იქ ჩვენ „ურა“ ჩამოგვძახა, ჭკვასზე დაყათ არ გეგონოთ... რას იცინით ხა, ხა, ხა, ხა!



კუჭის ხობა.

„რენო, რანუნი, ახრანა, ნუნი!“

(სიმღერა ბიუროკრატისა) **ქრონოსელი**



სანდრო

ეს რა კარგი დრო დაგვიდგა... ზენა, მანკა...
მოძრაობა დავაუქმეთ... ახრანა, ნუნი!
მივაძინეთ ხელად მტერი... რენო, რანუნი!
როცა რიხით დავემუქრეთ... ახრანა, ნუნი!

ხელათ მოვსპეთ აღმაფრენა, რენო, რანუნი!
აღტაცება, ხალხის ნება, ახრანა, ნუნი!
მეტის მეტი მოინდომა, რენო, რანუნი!
ურჩევნია მიძინება, ახრანა, ნუნი..!

ხოლო, თუ კვლავ გაიღვიძებს, რენო, რანუნი!
გაფხიზლებს სასწაული, ახრანა, ნუნი!
ო, რა ძვირად დაუჯდება, რენო, რანუნი!
ასეთი ღღესასწაული, ახრანა, ნუნი!..

ახლა რო თავს დასტირიან, რენო, რანუნი!
თავ-თავის ძმას, მამებს, ბიძებს, ახრანა, ნუნი!
ჩვენი ტყვია-ზარბაზანი, რენო, რანუნი!
მათაც ხელათ დაამიწებს, ახრანა, ნუნი!

თომა პუსა.

გულ-უბრყვილო და გულწრფელი.



ხობა ესდევისა ბურჟუაზიის კუჭის მიმართ.

ახ, კუჭი! ჯაან კუჭი!
კუჭის ჭირიმე!..

დიდება შენს კუჭს, ჰოი, ბურჟუავე!
მარად თაყვანს ვსცემ მასზედ ელოცულობ!..
შინ თუ გარედა, ცხადად თუ სიზმრად
ეგ შელანდება, მისით ვსულდგმულობ!..

დამხსნელი არის მშრომელ ხალხისა,
ეგ ახდენს პროლეტარიზაციას;
მისთვის ერთია ვინც უნდა იყოს,
ჰყლაპავს, არ ინდობს არც ერთ ნაციას!..

თუ კრება არის, — ტრიბუნიდანა
ხალხს ვუქადაგებ მის ძლიერებას;
გლეხებსა ვურჩევ გაეყვლეფინოს,
რათა ეღირსნენ ბედნიერებას!..

სხვა პარტიები ემტერებიან,
მისით არიან აღშფოთებულნი;
ჩვენ კი მოძღვრება მას გვიქადაგებს,
რომ ვიქმნედ კუჭის მარად ერთგულნი!..

შემდეგ... ოდესმე დრო თვით მოიტანს,
კუჭი იქნებ რომ აღარ ფასობდეს!
მაგრამ რას ვამბობ?... — მარქსო, შეგცოდე!
უკუქოდ კაცი როგორ იცოცხლებს?

ვაშა მაგ კუჭსა!.. ვაშა მაგ მუცელს!
ჩვენც თანაფუგრძობთ სულით-გულითა!
მის წმინდა საქმეს — ხალხის გაყვლეფას
ხელსა შევეუწყობთ სიხარულითა!..

სანდრო.

- განა კონცა ისე ძნელა, რომ...
- რა ვიცი... მე ჯერ არ მიცდა...
- თქვენ რომ ჩემს ადგილას ეოფილიყავით, რას იზამდი?
- მე? თქვენ ადგილას რომ... არ ვიცი... იქნებ გამებედნას!..

მედიატორეთა სასამართლო.

(ამ დროის სურათი ერთ მოქმედებათ)

(გაგრძელება *)

მჭედელი. როგორც სხვა ჩემს ამხანაგებს, მეც ისევე უდიერათ მეპყრობა მებაღე, ერთხელ გავხედე და ვუთხარი, მოვხსენე—რო ნუ ჩაგრავ-მეთქი მუშა-პროლეტარიატსა-თქო. ეგაო ჩემი ფანტაზიააო! მაგის ფანტაზიები ჩვენ არ მოგვწონსო. მებაღე იმდენათ უგულო კაცი, რო ერთხელ თითონ შევესწარი, აი კესარია, იყო მასთან, ჩვე-მზარეული და მრეცხელი, საცოდავი დედა-კაცი ცხარე ცრემლით ღრიალებდა... ალბათ გალანძლა, როგორც ჩვევია.

თავმჯდომარე. თქვენი ალბათ არა კმარა. გაიგონეთ—რო ლანძლავდა?

მჭედელი. გაგონებით არა.

მებაღე გ. აი, კესარიაც აქ არის, თითონ გამოკითხეთ.

თავმჯდომარე. კესარია! თქვენ აქ მზარეული და მრეცხელიცა ხართ?

კესარია. კი, შენი მუხლის ჭირიმე, სულა!

ფერშალი. საცოდავი! დაჩაგრულობა სიტყვაზე ეტყობა. **მუხლების ჭირიმე და ბატონო.** შე საწყალო, მუხლების ჭირიმე და ბატონო, რით ვერ გაიგე, რო მოისპო... ეგრე მხოლოდ ამ ბატონს, მებაღესა და მისთანებს უნდა მიმართო ხოლმე—დანარჩენები ყველანი ამხანაგები არიან.

თავმჯდომარე. მოითმინეთ, მოითმინეთ! კესარია, გაიგონეთ ამ მჭედლის ჩვენება. . რათ სტიროდით თქვენ იმ დროს?..

კესარია. აფხანაგო სუღია,—გალანძლავაზე მეტიც მიქნა, შენ გენაცვალე... მე საწყალი დედა-კაცი ვარ ერთი, ჩემს კისერზეა და სარჩენად მყავს ავთმყოფი ქმარი და შვილი. ჯერ მრეცხელი ვიყავი აქ და ახლა კიდე მზარეულობაც მომანიჭეს. მებაღემ მითხრა მაშინ რომეო, შენ, კესარია მზარეულობის ისე არაფერი ვაგეგება, როგორც ვირს ხურმისაო... ასე მითხრა სწორეთ, შენ გენაცვალე, აფხანაგო სუღია.

1 სოფლელი. მე ქე დამითხოვეთ, მარა სწორეთ ვერ მევითმენ, და ორიოდე სიტყვა კიდე უნდა მოგახსენოთ:—ცოლი შევიროთე ბატონო მე...

თავმჯდომარე. მოითმინეთ... ეგ საქმეს არ შეეხება...

1 სოფლელი. შენი სულის ჭირიმე მათქმევი და თუ სწორეთ ამ გარემოებას არ შეეხებოდეს—პანდური მჩანთეთ. ჰო, მევიყვანე ცოლი, პრაჩათ ნამყოფი იყო კნიაზებში, გოგო კაი იყო თავის

დროზე, და ახლა რაღა იქნება, ჩემი შესაფერი ერთის სიტყვით. მოგეხსენებათ მე ~~მებაღე~~ ~~მებაღე~~ ~~მებაღე~~ რანგებს არ ვაკრახმალებიებდი და ~~მებაღე~~ ~~მებაღე~~ ~~მებაღე~~ ანგარიშის ინჩიც არ იცოდა. მოუხარშავი კირკაეი ლობიოთი კინალამ თიაქარი გამიჩინა მუცელში. მე ვუთხარი: შენ, ჩემო მაკრინე, თქვა—თუ გინდა კესარია ეიღეთ ახლა—ისე არაფერი გცოდნია მზარეულობის, რაფარც რო ვირმა ხურმის ფასი არ იცის-თქვა. მერე თავათ ვასწავლე: კაი ქინძი, ხახვი ჩაქრილი პრასი, კვაწარახი, თუ გექნეს ძაღეც და... გადურჩი თიაქარს... ჰო და ასე გამიგონია მე სწორეთ ამ კესარიას მზარეულობის ამბავიც...

1 მუშა. რაც მართალია, მართალია. (ხმაურობა)

თავმჯდომარე. მოითმინეთ, სიჩუმე! კესარია, სხვას რას იტყვით!

კესარია. სხვას არაფერს, აფხანაგო!

თავმჯდომარე. კარგი, თავისუფალი ხართ, (მჭედელს) თქვენ?..

მჭედელი. ერთი მაგალითიც კიდე იმისა, თუ მებაღე როგორ ჩაგრავს მუშებს. ერთხელ შევესწარი, რო მებაღე, აი, ამ ამხანაგს სერგოს ეუბნებოდა: საათი გააღე და ნახევარ საათით უკან დასწიო, ჩქარობს ჩვენი საათიო. ამით მე ვამტკიცებ, რო მებაღე სამუშაო დროს უგრძელებდა მუშებს.

ვასილ მებაღე. მაშინ, როდესაც სრულიად რუსეთის სოციალდემოკრატია იბრძვის 8 საათის სამუშაო დღისათვის.

თავმჯდომარე. მოითმინეთ! სერგო! იყო ასეთი შემთხვევა?

სერგო. იყო, ნამდვილათ! ერთ დღეს დამიძახა ბატ. მებაღემ და მითხრა:—საათი უკან დასწიო... მეც ვავაღე და დავსწიე.

მებაღე გ. (თავმჯდომარეს) გთხოვთ, ჰკითხოთ ვასაღები საჩქოლეს საათისა ვის ებარა?

სერგო. ვასაღები სულ მე მბარია, რაც აქა ვარ.

თავმჯდომარე, ჰმ... სხვა რა იცით?

სერგო. სხვა რა... ლანძღვით მეც ბევრჯერ გაულანძღივარ...

თავმჯდომარე. თავისუფალი ხართ სტეფანე-ქუჩერი! რას იტყვით?

სტეფანე. ჩემოდენი ლანძღვა-თრევაი არავის არა ხვდება... დღე ერთია და ათჯერაც კი შემომივარდება კანუშნაში და სუ მათრევეს და მაგინებს. რას ვუშავებ—კანუშნა წმინდათა მაქვს, ყველაფერი სუფთათ, მლანძღავს და მლანძღავს...

თავმჯდომარე. ასე, უმიზეზოთ... მოწმეს ხო არავის მოიყვანთ?

სტეფანე. მოწმეი სადა მყავს.—კანუშნაში მე ვარ, ჩემი ცხენები და ხამუტები და მზე და ქერი,

*) იხ. „ნიშნაღური“ № 16.

ამათ ენა არა აქვთ, თორე, იცოცხლეთ, იტყო-
დენ... მლანძღამს და მლანძღამს.

თავმჯდომარე. კარგი, თავისუფალი ხართ!
მომჩივანი აღარავინაა... აბა, ახლა მოწმეები!

ვასილ მებაღე. ქე სადა გყავთ ე მოწმეები.
მოწმეებიც თქვენა ხართ და მომჩივანიც.

ვასილ. არა, ჩვენც შეგვეძლო გვეშოვნა. მუ-
შათა პარტია არც ისე მცირე რიცხოვანი გახლავთ.

1 სოფლელი. მთელათ რუსეთის პროლეტა-
რია გინდოდა აქ შეგეყარათ თუ?

ვასილ. თუ კი მებაღე გიორგიმ მთელს
ხროვას მოგიყარათ აქ თავი, ჩვენ...

1 სოფლელი. ჩვენ ხროვა არა ვართ... ხრო-
ვა მგლებისაა—ჩვენ მეზობელ სოფლების გლებობა
ვართ და თქვენზე უმეტესათ დაინტერესებულიც
ამ საქმეში, თუ სიმართლე გინდათ გეიგოთ.

თავმჯდომარე. მოითმინეთ... ერთმანეთში
ნუ კინკლაობთ. . ბატ. გიორგი, თქვენა გყავთ
ალბათ მოწმეები, და თუ თქვენი თანხმობაც იქნე-
ბა, რომ საქმე არ გაქიანურდეს, ორი სამი მოწმე
კმარა...

მებაღე გ. დიდის სიამოვნებით...

1 სოფლელი. კი ბატონო, ორი-სამითაც არ
შეგაწყენთ თავს, ჩვენ ერთს კაცს ვალაპარაკებთ,
მარტვა ერთს.

სოფლელები. თითონ შენ, შენ, შენ ილა-
პარაკე ბასილა, ყველას მაგიერათ.

1 სოფლელი. არც მაგაზე გეგექცევით!

თავმჯდომარე. ძალიან პატიოსანი... აბა,
მოყევი და ძალიან თუ არ გააგრძელებ...

1 სოფლელი. ფიქრი ნუ გაქვს, ბატონო.
წილადობილას არ გაგეყობი. გრძელი სიტყვა მო-
კლეთ თქვიო და შიირიც კი გამოგივაო. ასე ვი-
ხამ მეც... მართლა, ჩვენ მუშების სახელი წაგვარ-
თვეს ამგენმა, არაფერს საქმეში არ გვირევენ, ჩვე-
ნი არაფერი წამს-ყე, მარა რა გეეწყობა ახლა. ამ
პიტონიკმა, მოგახსენებთ, ბევრი კი საქმე დანერ-
გა ჩვენში. მებაღე გიორგის სახელს ლოცვა კურ-
თხევით იხსენიებს დღეს ბევრი გლები და თავად-
აზნაურიც, (ფერშაჟი ჩაიციანებს) ჰო, გეიცინე, ერ-
თი შენ გიმადლიან სოფელში და მეორე ამას! ვე-
ნახების საქმე კინკლაზე იყო მიმდგარი... გოუჩნ-
და უბედური ქირი. ამ გიორგიმ ერთი და ორი კი
არ გამოზარდა და ასწავლა ვენახის ხელა ჩვენში
—ასობით და ორასობით. უინცარი მუშა კაცია,
რა საჭიროა ბევრი ლაპარაკი. დოუჯინიათ—ილან-
ძღებო! ლანძღვა კი არა ტვინს ჩავასხმევენებ, კა-
ცი რომ გვერდში ამომიდგება და დალბათობას გა-
მეიჩენს. მუშა ხარ —იმუშავე, არ მუშა—მამა ზე-
ციერმა გაფუშა! ასეა ეს... ჩვენც ვმუშაობთ აქანა
კვირაში სამ-ოთხ დღეობით და აქოური საქმეების

არაფერი მეკითხებათო კილა ტლიკინობენ ესენი!
რატომ, რატომ. ქირა ამ პატიოსან ~~ქრესტიანულ~~
უკლია არც ერთი ჩვენთაგანისთვის, ~~მეც~~
ბით კი ძმარს გვადენს... ღმერთმა ჯანი ნუ მოაკ-
ლოს, თვით ჯანიანი მუშაა და შენც ქე გეუბნება
იმუშავეო, აბა რავა. ცუდლუტი მუშა არ უყვარს
და ამაზეა, რომ ემდურთან ბევრი, ესაა ჩვენი სათ-
ქმელი, არა მეზობლებო?

სოფლმლები. ნამდვილია, ნამდვილი, მეტი
არაფერია!..

1 სოფლელი. ჰო და არც მე ვიტყვი ამაზედ
მეტს, თუ არ მკითხავთ?

თავმჯდომარე. კეთილი! მებაღე გიორგი!
რიგი თქვენია...

მებაღე გ. სანამ მუხლ-და მუხლ გავარჩევდ
ჩემზედ მომჩივანთა მიერ მოყვანილს საბუთებს ჩე-
მის დანაშაულობისას, ერთი რამ მინდა აღვნიშნო:
არც ერთ ამ **ამხანაგებს**, რომელთაც ამხანაგური
კავშირი შეუკრავთ, მკიდრო კავშირი და დამოკი-
დებულება არა აქვთ ჩემთან, როგორც მებაღესთან.
ეს თავისუფალი მებაღე ვასილი, ფელდშერი, მქე-
დელი, იამშიკი, მრეცხელი, მზარეული და სხვები
— რა საქმე აქვთ ჩემთან—არაფერი სრულიად. თა-
ვი და თავი მიზეზი, თუ რათ ამხედრდენ ჩემზედ
ეგ ამხანაგები, აქედან ცოტა შორს არის, ი ქამდის
ორი-სამი ვერსი იქნება. მთავარი მიზეზი კი ამ
თავი და თავისა ძალიან ახლოსაა... აქვე დგას—
ეგ არის ბ. გამგე ამ საჩქოლესი. (გამგე გადის
ამ დრას). დრო იყო, როცა, დღეს ჩემ წინააღმ-
დეგ ამხედრებული მუშები, თითქოს ჩემს ხელის
ნაბანსაც ძირს არ აქცევდენ—ფუყვარდი მე მათ და
მეც ამხანაგურათ ვექცეოდი. პირველ გაფიცვის
მეთაურობა მე დამაკისრეს, მომთხოვეს ხელმძღვა-
ნელობა, შევეუდგინე მოთხოვნილება და დაგვაკმა-
ყოფილეს ბევრში. გავიდა ხანი, ქვეყანას ქირი
მოაწყდა—რეაქცია და ამ რეაქციასთან თითქმის
ერთად თავი იჩინა მუშების უკმაყოფილებამ ჩემზედ.
ნუ მომთხოვთ იმის ფიცს, რომ თვით ჩემს არსება-
ში ამ რეაქციას არავითარი ცვლულება არ მოუხ-
დება და მით უფრო გულს მიკლავს მუშების გუ-
ლის შეცვლა ჩემ მიმართ. რა მშვიდობა, რა ერ-
თობა გვქონდა:—დაინიშნა ახალი გამგე საჩქოლე-
სი. აქვე მეზობლათ ძვეს ერთი მამული, რომელ-
შიაც ბ. გამგეს წილი უძევს. საჩქოლის გამგე სარ-
გებლობს ძალიან ხშირათ საკუთარი მამულისათვის
საჩქოლეში არსებულ რეალურ ძალებით და სხვა
რამითაც. ამ გარემოებას წინააღმდეგ მე, და, აი,
სწორეთ აქედან იწყება ჩემისა და ბატ. გამგეს
შორის უკმაყოფილება. მან მიიმჩრო საჩქოლეს
მუდმივი მუშები, ამხედრა ისინი ჩემ წინააღმდეგ
დაყვავებით და ზოგი მუქარითაც და, აი, ატყდა

ეროვნული
განმაჯობა

კიდევ შფოთი. ვასილ მებალეს შეპირდა ჩემ აღ-
გილს, ფელდშერს აღუთქვა ჯამაგირის მომატება
და გარეზე პრაქტიკაზე სამგზავროთ ცხენების მი-
ცემა. ამისთანა თავაზიანობა ჩემგან არ ახსოვს ბ.
ფერშალს და ამიტომ დავკარგე იმისი ამხანაგობა.
ახლა მქედელი. ეს კაცი ძალიან ერთგულათ სქედ-
და, სანამ ბ. გამგემ ცუდის ფიქრებით არ გაუ-
ქედა მას თავი. ახლა მაგის ნაქედი იარაღები აღა-
რაფრათ აღარ ღირს, და როცა ძალიან ხშირათ
დამაქვს შესასწორებლათ სხვა და სხვა იარაღები
და ვესაყვედურები, ამას ჩემს ფანტაზიებს ეძახის.
კესარია მრეცხელი და მზარეულ. ცხარე ცრემლე-
ბით ამიტირებდა ერთხელ. როგორც მრეცხელს,
ყველანი ვემადლიერებით აქ, მხოლოდ როგორც
მზარეულს—ამის პასუხი ჩინებულათ მოიყვანა აქ
ამ გლეხმა ბასილამ, როცა ვუსაყვედურე, იფიქრა
აღბათ მზარეულობას ჩამომართმევნო. გაჭირე-
ბული ადამიანია. მრეცხელი ადგილი მე მივეცი,
მზარეულისაც, თან ერთი თანაშემწეც მივუჩინე,
მაგრამ ჯამაგირი არ მოგვიკლია, საათის უკან გა-
დაწევის ამბავი ასე მოხდა: ერთხელ რკინის გზის
სადგურზე ვიყავი და ჩემი საათი შევასწორე, რო
დავბრუნდი, ვნახე, რომ საჩქოლეს საათი ჩქარობ-
და, დავუძახე სერგოს და ვუთხარი უკან დაეწია
ნახევარ საათით. ეგ საათის გასაღები თითონ მე
ჩავაბარე ამ სერგოს. სულ ერთხელ მოხდა ასეთი
ფაქტი და ამის გამო დამაბრალეს ქურდობა, სა-
მუშაო დროს ვპარავ მუშებს... ქურდობის დროს
მოწმეს ვინ ისწრებს, ანა და, განა არ შემეძლო
გასაღები თითონ მეტარებია და ასეთი ქურდობა
ხშირათ ჩამედინა. სასაცილოა, რომ სატირალი არ
იყოს. სულ ასეთს საბუთებზეა აშენებული ამათი
ბრალდება ჩემ წინააღმდეგ, და უფრო სამწუხარო
ისაა, რომ ეგ ყველა ზევიდან გავლენის წყალო-
ბაა, ძალდატანების ელფერი დაკრავს მათ. მხო-
ლოდ ერთათ ერთი ცოდვა მიმიძღვის და გულწრ-
ფელათ ვაღიარებ მას: იძულებული ვარ დავარდიო,
ხშირათაც პირველი მუხლი თვით ჩემ მიერ შედგე-
ნილს და ხელმოწერილის მოთხოვნებისა:—ცხარე
სიტყვებით მივმართავ ხოლომე მუშებს, ვლანძღავ
კიდევ, რადგან ველარა ვცნობ მე მათ, გამიფუჭეს,
გამიორგულეს, დამისახიჩრეს, მაშინ, როცა ის
საქმე, რომელსაც ჩვენ აქ ვეწევი, არც ისე პა-
ტარა საქმეა—საქვეყნო საქმეა და ერთსულოვნება
და სიბეჯითე სჭირია მას. ამ სიბეჯითეს ველარ
ვუყურებ მე დღეს აქაურ მუშებისას და ეგაა, რომ
გულს მიკლავს, ძარღვებს მიშლის, და მიაფიცხებს...
იქნება ბევრი ვილაპარაკე, მაგრამ მესამედიც იმისი
არ მითქვამს, რაც უნდა მეთქვა, რადგან მოვერი-
დები არ დავღალო თქვენი ყურადღება ასეთ ქუჭ-

ყიან საქმის ვითარების დაწვრილებით აწერთ...
და ვათავებ...

1 სოფლელი. შენ გამჩენისა, (ნაღობოთსა)
სადაა ახლა, აფხანიკებო თქვენი ატუნკატი... ხო
გეიპარა... რავაც ახსენა პირველში მაშინავე გაძე-
რა...

თავმჯდომარე. (ზანს რეკს) ახლა გთხოვთ
მცირეს ხნით მიბრძანდეთ ყველა. განჩინებას და-
ვადგენთ. საქმის ვითარება საკმაოდ გამოირკვა.
(გავლენ ჩოჩქოლითა და ხმაურობით გარდა მეღია-
ტორებისა)

თავმჯდომარე. აბა, მღვიან-ბეგო აღიღე მა-
ხვილი. ჩემი აზრი, ყმაწვილებო. ყოველის ღონით
უნდა ვეცადოთ მოვარიგოთ როგორმე. გიორგი
მებალეს სიფიცხისათვის გადაუწყვიტოთ ბოდიშის
მოხდა, დანარჩენი ბრალდება ავხსნათ, რას ვერ-
ჩით, თავი გაიმართლა ამ კაცმა. ეს ბოდიშიც მუ-
შების ასე თუ ისე გულის მოსაგებათ საჭიროა...
ნურც მწვადსა და ნურც შამფურს, აი რას იტყვი!

ნიკო და მიშა. სწორეთ ასე აჯობებს, რი-
გიანი იქნება.

დათიკო. მე თუ მკითხავთ, ეგ ბოდიშიც მე-
ტია იმ კაცის მხრივ. მაგრამ რადგან ეს ზომა სა-
ჭიროა, რომ საქმე მორიგებით დაბოლოვდეს...

კოლა. ბოდიში მეც მეტათ მიმაჩნია, მაგრამ,
რაკი...

თავმჯდომარე. ერთი სიტყვით ყველა ერთის
აზრისა ეყოფილვართ, და კოლა-ჯან, აბა გაუსვი
კალამი...

კოლა. შევადგენ ეხლავე... (სწეწს).

თავმჯდომარე. აა, რას იტყვი... ამხანაგო,
მიშო?..

მიშა. კაი, თუ ძმა ხარ. თავი მოგვეჭრეს, კა-
ცო. ეს ოხრები სოციალ-დემოკრატებსაც რომ
ირქმევენ?

ნიკო. Главное зло, г-да, здѣсь этотъ
Управляющій!


დათიკო. გამგე ხო კაი წითელი კოჭი ყოფი-
ლა, მაგრამ ამ თქვენს „ამხანაგებს“ რალას ეუბნე-
ბით, რომ ასეთი კაცის გავლენით ამდენს სისაძაგ-
ლეს ჩაღიან. კაცო, ეს თქვენი პარტიის ხალხი
ისე გყავთ გაწვრთნილი, რომ ვინცა და სითაც
უნდა დაუწრუწუნოს იქით გადავლენ? ვერა გავი-
ბე რა!

თავმჯდომარე. არა ის ორი, ის მებალე ვა-
სილს და ამხანაგი ფერშალი პატარას, მგონია, მეი-
ხულიგანებენ...

კოლა. ეგეც განჩინება; აბა, ჩაიკითხეთ!
(ჩუმად ჩაიკითხვენ, თავმჯდომარე ჩქითხუფებს და და-
ნარჩენებს თვალს ადევნებენ მადლიდან).

თავმჯდომარე. საუცხოვოა! აბა, დავუძახოთ
ყველას... (მიშა კარებს გაუფებს).

ქართ შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წლიური კრების გამო.



საზოგადოების მუზეი და კანცელარია.

(შემოდან ყველანი) გთხოვთ მოისმინოთ განა-
ჩენი:

„ათას ცხრაას ამა და ამა წელსა, მარიამო-
ბისთვის ამა და ამა დღესა, ჩვენ ქვემოთ ამისა
ხელის მომწერნი ვიყავით საქრულისა საჩქოლეს
თვიურ მუშებისა და ამავე საჩქოლის მებალის გე-
ვორგი ესერიძის შორის ატეხილ უთანხმობი' გა-
მოსარკვევით და ვითარცა მედიატორეთა დავადგი-
ნეთ შემდეგი:

ა). მებალე გიორგი ხშირათ მიმართავს ხოლმე
მუშებს კიცხვა-გინებით და ამით თვით მის მიერ
შედგენილ მოთხოვნათა პირველს მუხლს არღვევს.
მედიატორეთა საჭიროთ სცნეს დააკისრონ მებალე
გიორგის საჯაროთ ბოდიში მოიხადოს მუშების
წინაშე.

ბ). ყველა დანარჩენი ბრალდებანი, მუშების
მიერ მოყვანილმა მედიატორებმა დასასაბუთებლათ
სცნეს და ყოველი ბრალდება ახსნეს გიორგი მე-
ბაღეს.

გ). აწონ-დაწონეს რა ყოველი ვითარება საქ-
მისა, მედიატორეთ ვერავითარი საბუთი ვერ იპო-
ვეს იმისა, რა მებალე გიორგი გადაყენებულ იქმ-
ნას ადგილიდან.

დ). მედიატორენი იმედობენ, რომ ერთობა,
ძმური თანხმობა კულავ აღდგინდება მოჭიშპეთა
შორის, და ერთსულოვნებით გაუძღვებიან იმ დიდს

საქმეს, რომლის აიღეს მათ ხელთა. ძალა ერთობა-
სა და საქმის სიბეჯითეშია.

გამგე. დიად, დიად, იმ თავითვე ვიცოდი—
საქმე ასე დაბოლოვდებოდა.

გაცრუვდება ვე თქვენი ერთობა და საქმის
სიბეჯითე.

ვასილ მებაღე. რაც თქვენ ერთად მოაძოვი-
ნოთ მებაღესა და ამხანაგ მუშებს, ის იქ და-
იქადეთ, იქ. მე აქ მიმდგურობასა ვხედავ... არა
ვართ თანახმა! რას იტყვით ამხანაგებო! (სიჩუმი)

მედიატორენი ცხარეთ. რაო, როგორ ბედავთ?!..

მიშა. (გასიჯს) მე თქვენ სამედიატორო სა-
მართალში გიწვევთ მაგ სიტყვებისათვის. რა უფ-
ლებით შემოგაქვთ ჩვენზე ასეთი ეჭვი. თქვენ აქ
ხულიგანობთ... ჯერ ნდობა გამოგვიცხადეთ, ხელი
მოაწერეთ და ახლა... თქვენ ზიზღის ღირსი ხართ
მხოლოდ. სასირცხოთ მიმანია, რა თქვენ ედავოთ
ისეთი პარტიის წევრობას, რომელსაც მე ვემსახუ-
რები. ვაა, ამ მუშებს. სიბრალულის ღირსნი არიან,
რო თქვენისთანა უპირო აღამიანს „ამხანაგს“ ეძა-
ხიან... გაეთრიეთ აქედან,

მედიატორენი. გაეთრიეთ, ვა! (გასიჯ კადის.
სოფლელეები სიციჯს დაყრიახ).

მებაღე გ. ნახეთ, ყმაწვილებო, როგორ გა-
გაცხარებთ სულ ორი საათია, რაც ამითანა ხართ
და ამითმა ბელადმა, ისე გაგაბრაზათ, რომ ლამის...

ახლა ჩემი მდგომარეობაც იკითხეთ: დღე მუდამ, კვირიდან კვირამდე, თვითი-თვე, რო შმის მზგაესი საწყენი შემხვდეს. მე თქვენზე ნაკლები ფიცხი ვყოფილვარ. ბოდიშით არ კმაყოფილდებიან, ახლა ერთი მეცა მკითხონ რამდენათ მძიმეა ჩემთვის ეგ ბოდიში, რაკი თავს მართლათა ვგრძნობ... მაგრამ მორჩილი ვარ, ბოდიშს მოვიხდი ყველასთან, რასაკვირველია, გარდა მგზაღე ვახილისა და ბატონის გამგისა. ამათთან კიდე მექნება მე საქმე!

მიშა. ამხანაგებო! ნუ თუ თქვენც ისეთს საქციელს არჩევთ, როგორც ეს არის აქ ერთმა თქვენგანმა ჩაიდინა; თუ ცოტაც არის გონება გიქრით, ყოველი კავშირი უნდა გაწყვიტოთ იმ კაცთან, რომელმაც ასეთი შეურაცხება მააყენა თქვენგანს არჩეულს, დანდობილს პირებს. მახანაგებო! ამით თქვენც შეურაცხგყოთ იმ კაცმა: მოღით და ყველამ ხელი მიეცით ამ კაცს! ჩვენ აქ სათამაშოთ არ მოვსულვართ და შერცხვენა იმას, ვინც ფიქრათ გაივლებს, რო დიდის ყურადღებით არ მოეკიდეთ ამ საქმეს. მოღით, თქვენის ყოყმანით თქვენს უფიცობას დაამტკიცებთ მხოლოდ... აბა! (მუშები მიდან და ხელს აძლევენ მებაღე გიორგის. სწერთა კმეყოფილებს).

1 სოფელელი. ოო, ასე ჯობია! ჩვენც მოგვეცით ხელი, წუყურ, საქმისთვის აჯობებს, რო ერთად ვიყოთ.. ზრასტი! (ხელს ათმეფს მუუებს. სიცილი სმაურობს).

(ფარდა)

თომა პუხა.

პროკინცია.

ფოთი. აქაური რამე-რუმე. 5 დეკ., ღამის 6 საათზე ვიღაც კეთილ გამზრახველნი შეპარულან ვაქარ ბეგ. მამალაძის ოთახში და წაუღიათ ნიეთები, 300 მანეთად ღირებული. მამალაძე წამლებთ სთხოვს 300 მანეთს, მაგრამ წამლებლები ჯერ არავითარ პასუხს არ იძლევიან...

— ტულუშის სტამბას ფოთის პოლიცია ხან კეტავს, ხან აღებს, ხან ჩხრეკამს, ხან ლუქამს და კაცმა ვერც გაღებული ნახა და ვერც დაკეტილი. ეხლაც დაკეტილია. როგორც ამბობენ, ამაში ბრალი გურია-სამეგრელოს მბრძანებელს—ტოლმაჩეფს მიუძღვისო.

— აქ ხმა გავრცელდა, რომ ბოქაული ქუხალეიშვილი ქუთაისში გადაყავთო. ამ ამბავმა ერთი ნაწილი საზოგადოებისა გაახარა, რადგან შეიძლება ღამით უშიშრათ დავიძინოთო, მაგრამ ამ ნაირი სიხარულიც უსაფუძვლოა, რადგან ბოქაული ფა-

ჩულია არა ნაკლებად ფაჩუნობს ხოლმე ღამ-ღამობით.

— 24 ოქტომბრიდან ვადაქორთუმი გახსნება სტამბა, რომელიც იღება დიდის 8 საათზე და იკეტება ღამის 11 საათზე. ალბად ვადაქორთამ არ იცის ნიშადურის სიმწვავე თორემ რვა-ცხრა საათზედ მეტს არ ამუშავებდა ხალხს...

რიონელი.

ფლავი (გორის მაზრა). **გადარეული მამასახლისი.** გლეხკაცის მდგომარეობა სხვაგან უნდა არის დღეს ბედნიერი, რომ ჩვენში იყვეს, მაგრამ მეტის მეტი უბედურები ვართ ჩვენ, ფლაველები, იმისთანა მამასახლისის ხელში; როგორც არის გ. ბუთხუზი. არ ვინცით, რომელიმე ხატის მიზეზი აქვს; თუ რა არის?! ფლავში, ამ უკანასკნელ დროს ქურდობა მოხდა; დაედევნა მთელი სოფელი მდეგრად და ნადავლიც იპოვეს და ქურდებმაც დაიჭირეს: შეატყობინეს მამასახლისის და მისს სტრაჟნიკებს. გადმობრძანდა ჩვენი ბუთხუზი, ქურდები გაუშვა, დაგვერია მერე ჩვენ და კინალამ ცემით დაგვბოცა. რადა?.. რისთვის?.. ეს საკითხი დღემდე საკითხად რჩება... ეს რა არის?.. უარესები ჩაუდენია... ბევრი ვითათბირეთ, რომ ეს გადარეული და აღამიანურ გრძობას მოკლებული მოხელე გაგვესწორებინა. ასე გასინჯეთ, მკითხავსაც კი ვაკითხვინეთ... ბოლოს მოგვასწავლეს „ნიშადურის“ რედაქციაში, იქ უებარი წამალი აქვთო „რეცეპტიც“ გამოგვიწერეს.

ამისათვის გთხოვთ, მწარე და ცხარე ბატონო, ნუ დაიშურებთ და ცოტათი მაინც ამოსცხოთ ეგ თქვენი ნიშადური, რომ ან გამოსწორდეს, ან არა და სიმწარისაგან გარდაიხვეწოს შორს სადმე ფლაველებისაგან.

მთხოველი კ. მოსულიშვილი.

„აღას“ ლილინი.

სალამო ხანი იყო. დამხარებულ-დაქანცული ვიდექი საქონლის საწყობის ბაქანზე და თვალს ვადევნებდი გველ-ვეშაბისაებრ მძლავრს და სრიალა მატარებლებს. ამ დროს შემომესმა რაღაც ფარისევლური ლილინი. ეს ხმა არ გავდა ჩემ ამხანაგთა სვედიან ლილინს... ეს იყო კმაყოფილეთა ხმა. მეც ყური დავუგდე და აი რა მოვისმინე:

„რიაღიკი ვარ რკინის გზის საქონლის საწყობისაო.

გავსუქდი, კუქიც გავიძლე, ფულით გავიმსე ქისაო... პარტიამიც ჩავირიცხე, ვითომცა ვდემოკრატიზობო, და ნილაბ აფარებული ბნელ მუშებსა ტყავს ვაძრობო.

ცოტა რამ ურჩობისათვის „დავტრაფა“ თვიურებსაო,
 ბანლურით გავრეკ ქუჩაში კუჭ გამხმარ დლიურებსაო.
 ისე ვიფრენ დალოცვილებს, ვერც კი მითხრან:
 „რათ, რათაო?“
 ვინ რას მაწყენს, თუ მშველიან აფრასიონ--ბაგრა-
 ტაო“.

ეს სიტყვები ისარივით გულზე მომხდნენ. სევ-
 და-კაეშანმა შემიპყრო. მაგრამ უცბათ მომაგონდა
 ასეთი „აღების“ ასლაგმავათ ახლად მოვლენილი
 „ნიშადური“, რომელიც, თურმე, უებარი საშუა-
 ლება ყოფ ლა ურჯულოთა მოსარჯულებლად და
 მაშინათვე გავექანე იმის მთავარ საწყობისაკენ (რე-
 დაქციისაკენ), უმორჩილესად ვითხოვ რამოდენიმე
 წვეთი მწვავე ნიშადურისა იმ გაბატონებულს ჩვენ
 აღასაც აგემოთ და სხვა ჰანგზედ აამღეროთ, თო-
 რემ მისი შხამიანი ღიღინი კიდევ ბევრს ჩემისთა-
 ნას მოუწყლულავს გულს.

ხა—ჩინელი.

შემოგომის ვიწრობი.

გათავდა რთველი მაზრაში
 მორბის თავალი ბაზარში.
 ჯიბას უმძიმებს ფულია—
 ახლა დიდი აქვს გულია.

უცბათ პალტო იკერება
 ქუდი, ჩოხა, ახალუხი.
 ფეხს მტვერი არ ეკარება:
 გააქვს ეტლებს რახა-რუხი.

ქუთაისისა „ბულვარში“,
 იცით, არ არს ძვირია!—
 გადაწყვეტილი უღვაში,
 და გაღებულია პირია...

შემოდგომისა გმირს დასდევს
 უსაქმური და მოცლილი.
 რომ შეხედოთ გაიფიქრებთ,
 ძალღებს ჰქონიათ ქორწილი...

ზაბუხტა—იანი.

ვაი ჩვენი ცოდვის ბრალი.

ყველა ჩვენი ბატონია
 ქვეშ დასთელეს სამართალი
 ყველა თავში გვირახუნებს...
 ვაი ჩვენი ცოდვის ბრალი!

სიტყვით ყველა გმირები ვართ,
 სქმითა კი—ყველა მხთალი

დავწვილიმანდით, დავქუცმაცდით,
 ვაი ჩვენი ცოდვის ბრალი
 გაზეთები ურიცხვი გვაქვს
 იკითხეთ თუ გიჭრით თვალი,
 შიგ რას სწერენ, ნულარ მკითხავთ,
 ვაი მკითხველების ბრალი!

ავლაბრული ლანძღვა თრევა.
 როგორც მძოვრი ისე მყრალი,
 ჩვენც ამით უნდა ვიკვებოთ...
 ვაი ჩვენი ცოდვის ბრალი!

პარტიობას თუ იკითხავთ,
 დიდ პატარა, კაცი ქალი;
 ყველა სოციალისტია...
 ვაი ჩვენი ცოდვის ბრალი!

მიკიტანი, მეწვილიმანე
 მეხაზე და ვინღაც დვალი
 რაქა-ლეჩხუმს ანათლებენ ..
 ვაი ჩვენი ცოდვის ბრალი!


პეტრეს ქალაქს „ღუმა“ „ცენტრობს“
 განაპირებს გერჩოლავს ალი,
 ძლივს ვიწამეთ ქართველობა...
 ვაი ჩვენი ცოდვის ბრალი!--

გერი.

„მ შ მ ა კ ს“.

სატანასა მემკვიდრევე, ნუ სულ ავსა მიზდევო,
 რაებს ჩმახავ, რას ზოდავ, ან რა მოილანდევო?!
 ნუ თუ მასხარ-ჯამბაზად, ქვეყნად დაიბადევო?!
 ნეტავი თუ ფიქრობ შენ, რომ პოეტსა გვანდევო?!
 ვითომ და ესდევკი ხარ, ენით მწდომი ცამდევო,
 სიტყვით-საქმით რეგვენი, როგორც დაიბადევო!..
 პოეტობით რაც გახდევ, ბოლოს დაიქადევო,
 ესდევების ბანაკში, ტაბლაც გადიხადევო!..
 ზრდილობისა დაკარგვა, ვიცით მოიწადევო!
 ნუ თუ ფიქრობ, ძმა ბიჭებს ამით შეუყვარდევო?..
 და მათ სასახელოთა შენ პოეტად ყვანდევო?!
 შეცდომია „ეშაკო“, სჯობს სირცხვილს არ სქამდევო,
 ბოლქვაძისა გოშარავ, სხე-ფრივ შეაცადევო.
 გყოფნის ესდენ სიმურტლევ, რაც დღემდისა ჩმახევო
 შუბლ გარეცხვილს უწმინდურს, ერთ შენს თავსაც
 დახევო!

ქუქყ-ტალახში აღზრდილი ლამისა აყროლდევო.
 უსირცხვილო ურცხვათა შენ უნდა დაბერდევო,
 სიმყრალის გუდა-ფშტვიროთა ვი აგვარიდევო
 ქაობ-ჯოჯოხეთისკენ გიჯობს რომ წახვიდევო.
 ბაყაყეთის მოციქულს სულაც არ ვნახვიდევო!..




რევოლუცია სპარსეთში.



სპარსეთის ახალი შაჰიან შაჰი
მაჰამედ-ალი შაჰი.

რომელმაც სპარსეთში სამჯერ კონტიტუციას შეჰფიცა და
სამჯერვე მოატყუა.

სომხების გამოჩენილი მწერლები.



† შერჩ პროშანი.
(2-დეკემბ. 1907 წ.)

ქართული ხელოვნება.



ცნობილი მომღერალი (რ.ენოტი)
მიხეილ ნანობაშვილი.
(სცენაზე—დარიალი).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავის ხსნა, ანუ სიკვდილი.

ამდენს ტანჯვას და ვაებას
ნუ თუ არა აქვს საზღვარი?
შევერთდეთ, მივცეთ მხარი-მხარს
გაენადგუროთ მტარვალი.

ან მოვიპოვოთ უფლება,—
კმარა რაც ვკამეთ სირცხვილი:
ან გამარჯვება—თავის ხსნა,
ანუ გმირული სიკვდილი!

ი. გრი—ი.

რედ.-გამომცემელი ვალერიან გუნია.

ამ ნომერთან ერთად ეგზავნება ხელისმომწერთ

**ნაიუელერიის რეზინის
გალოშების განცხადება.**

ვსხოვთ მკითხველთ მოსთხოვონ გაზეთის გამ-
ყიდველებს განცხადებას.

დ. შვირილა.

მანუჟაკტურისა და გალანტერეინის მაღაზია

„მოდნი სვეტ“

იორამ გაჩეჩილაძისა

მიღებულია ახალი ყოველგვარი საქონელი
იყიდება დაკლებულ ფასებში.

არის ყოველთვის ყოველგვარი ზომის გალო-
შები. მაღაზია მოთავსებულია—სადგურის პირდა-
პირ საკუთარ სახლებში.